

საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა (2019-2022წწ.)

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და

ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი

(ორგანიზაციის დასახელება)

სოფლის მეურნეობა

(პრიორიტეტის¹ დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა)

1. პროგრამა „მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა“ 2019-2021 წ.წ.

(პროგრამის დასახელება და განხორციელების სავარაუდო ვადები)

2. პროგრამის დასაბუთება, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე

გალის რაიონის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლის ძირითადი წყაროა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია. ამ დარგში უმეტესი წილი მოდის ერთწლიან და მრავალწლიან კულტურებზე (თხილი, სიმინდი, ციტრუსი და სხვა), რომელთა მოსავლიანობა და შესაბამისად მოსახლეობის საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეფექტურობაზე.

პოსტკონფლიქტურ პერიოდში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა ადგილობრივი მოსახლეობის აგროსერვისებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, პირველ რიგში ეს გულისხმობს თანამედროვე მცენარეთა დაცვის საშუალებებს და საკონსულტაციო მომსახურებას. შედეგად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისას პირდაპირი და ირიბი დანაკარგები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს სოციალურ ფონს. დამატებითი უარყოფითი ფაქტორია ბოლო პერიოდში ერთის მხრივ მავნებლების გავრცელება, მეორეს მხრივ კი - არასწორი აგროტექნიკური ღონისძიებების შედეგად სოკოვანი ან/და ვირუსული დაავადებების მიერ მიყენებული ზიანი.

პროგრამის მიზანია გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის შემოსავლების ზრდა თანამედროვე და ეფექტური მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გატარების ხელშეწყობის შედეგად, რაც ითვალისწინებს ღონისძიებების ორგანიზებას, საკონსულტაციო მომსახურების გაწევას და პერმანენტულ მონიტორინგს.

3. პროგრამის აღწერა

გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცენარეთა დაცვის ღონისძიებების კუთხით დეპარტამენტზე გადმოცემული მცენარეთა მავნებლების საწინააღმდეგო სხვადასხვა პრეპარატებით, დროული და მიზანმიმართული ღონისძიებების ჩასატარებლად, პროგრამის ფარგლებში გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიქმნება 11-წევრიანი ჯგუფი, რომელიც

მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას გაუწევს ორგანიზებას. ჯგუფი იმოქმედებს 4 თვის განმავლობაში (მაისი-ივნისი და აგვისტო-სექტემბერი) და მისი ფუნქცია იქნება მავნებლების საწინააღმდეგო პრეპარატების განაწილება, შესაბამისად მათზე ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მათი ინფორმირებულობის გაზრდის ხელშეწყობა.

უშუალოდ საკონსულტაციო სერვისი გულისხმობს მცენარეთა საშუალებების შერჩევას, აგროტექნიკური ღონისძიებების სწორ და ეფექტურ დაგეგმვას და ა.შ..

4. მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ხელს შეუწყობს მცენარეთა დაცვის ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებას, რაც, შესაბამისად, შეამცირებს მავნებლებისა და დაავადებების გავრცელების ხარისხსა და მიყენებული ზიანის რაოდენობას. შედეგად, გაიზრდება მოსავლიანობის მაჩვენებელი მოსახლეობაში, რაც, საბოლოო ჯამში, ემსახურება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5. შედეგების შესრულების შეფასების კრიტერიუმები განხორციელებული პროგრამის ეფექტურობა.

6. პროგრამის რისკ-ფაქტორი

ა) გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან მის ადმინისტრაციულ საზღვარზე ფორს-მაჟორული სიტუაცია;

ბ) მცენარეთა საკარანტინო და არასაკარანტინო მავნებელთა მასიური გავრცელება

შენიშვნა: პრიორიტეტში იგულისხმება ბიუჯეტის პრიორიტეტები, რომლის ფარგლებშიც

სხვადასხვა მხარჯავი დაწესებულებების ახორციელებენ თავიანთ პროგრამებს.